ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 36

ქ. რუსთავი **03 აგვისტო 2020 წ.**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება" (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკატერინა ხუციშვილის სახით და მეორეს მხრივ მხრივ ფიზიკური პირი გოჩა ზუბაშვილი (პ/ნ 35001096880) (შემდგომში მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. **შესყიდვის ობიექტი**

1.1. 5 (ხუთი) ცალი ბენზოცელის შეკეთება, (შემდგომში მომსახურება) - (CPV50531000) წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 243,75 (ორას ორმოცდასამი ლარი და 75 თეთრი) ლარს;

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

2.3. დაფინანსების წყარო: 100% ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

3. **ანგარიშსწორება**

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში;

3.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

4. **მომსახურების გაწევის ვადა**

4.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2020 წლის 03 აგვისტოდან - 2020 წლის 06 აგვისტოს ჩათვლით;

5. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები: გაერთიანების დირექტორი და გაერთიანების ინფრასტრუქტურისა, შრომის უსაფრთხოების დაცვის მონიტორინგის განყ-ბის უფროსი.

6. **მხარეთა უფლება-მოვალეობები**

6.1. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება;

6.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;

6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით

7. **ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი**

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებს გაერთიანების ინფრასტრუქტურისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მონიტორინგის განყოფილება, განყოფილების უფროსის სახით.

7.2. ინსპექტირების გამწევის ფუნქციებია:

ა) მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება,

ბ) მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება,

გ) ინსპექტირების გამწევი პირი გამოვლენილ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს აფიქსირებს ოქმით.

7.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზისა და ნაკლოვანებების გამოსწორება ხდება მიმწოდებლის მიერ საკუთარი ხარჯებით.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%-ს ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ს შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულიაწერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით;

10.3. დაუშვებელია ხელშეკრულების შეცვლა, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა;

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.6. მხარე ვალდებულია 10.5. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე წერილობით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით აცნობოს მეორე მხარეს;

10.7. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის წესით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2020 წლის 03 აგვისტოდან და მოქმედებს 2021 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“
მის: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. №20
ს/კ 216439325
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
დირექტორი
ეკატერინა ხუციშვილი

KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY
Digitally signed by KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY
Date: 2020.08.03 11:57:07 +04'00'

მიმწოდებელი

ფ/პ გოჩა ზუბაშვილი
მის: ქ. რუსთავი, ბათუმის ქ №19-1
ს/კ: 35001096880
ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE34LB0711105555352040
ფ/პ გოჩა ზუბაშვილი

Gocha Zubashvili
Digitally signed by Gocha Zubashvili
Date: 2020.08.03 11:55:40 +04'00'

GEO

FIRST NAME
გოჩა
GOCHA

LAST NAME
ზუბაშვილი
ZUBASHVILI

CIT. / SEX / PERSONAL No
GEO / M / 35001096880

DATE OF BIRTH
26.11.1967

DATE OF EXPIRY
16.05.2029

CARD No
18IE41916

SIGNATURE

PLACE OF BIRTH
ქარელი
KARELI

DATE OF ISSUE
16.05.2019

ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

IDGE018IE41916235001096880<<<<
6711263M2905165GE0<<<<<<<<<<<2
ZUBASHVILI<<GOCHA<<<<<<<<<<<<<

საპენსიო სააგენტო
PENSION AGENCY

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საპენსიო სააგენტო
Pension Agency, Legal Entity of Public Law

N 50-01-009939

თარიღი: 29/07/2020

საპენსიო სააგენტო ადასტურებს, რომ დასაქმებული გოჩა ზუბ[illegible]ელი, პირადი ნომრით 35001096830, გასულია დაგროვებითი საპენსიო სქემიდან 29/05/2019 თარიღიდან.

მე, სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომელი, მაგული პაპუაშვილი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ განვახორციელე წინამდებარე შეტყობინებაში მითითებული პიროვნების იდენტიფიკაცია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. ასევე, ვადასტურებ, რომ წინამდებარე შეტყობინება შეიქმნა საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მიერ, მითითებულის პერსონალური მონაცემების მიხედვით.

საპენსიო სააგენტოს ან სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა

ყიფშიძის ქ. 7ბ, თბილისი 0162 (+995) 32 2197676 7B Kipshidze str., Tbilisi 0162, Georgia

www.pensions.ge